მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი (შევატი) №2 (475) (5781) 2021

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

26-27 თებერვალი — ფურიმი. მრავალს დაესწარით!

ისრაელი უარყოფს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას პალესტინის საქმეზე იურისდიქციის შესახებ.

ისრაელი არ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC – International Criminal Court) წევრი და არ ეთანხმება მის იურისდიქციას. მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს შეუძლიათ იურისდიქციის გადაცემა სასამართლოსთვის, ხოლო პალესტინის სახელმწიფო არ არსებობს და არც არასდროს უარსებია.

ჰააგის სასამართლო შეიქმნა იმისათვის რომ დაპირისპირებოდა იმ მასობრივ სისასტიკეს, რომელიც ძირეულად მიუღებელია კაცობრიობისთვის, და არა დამოუკიდებელი და ეფექტური სამართლებრივი სისტემების მქონე დემოკრატიული ქვეყნების დევნისათვის. ამ გადაწყვეტილებით სასამართლო, სამწუხაროდ დაექვემდებარა პოლიტიზირებას, დაარღვია მანდატი და იმ საკითხების მცდარი გადაწყვეტით, რომლებზეც მას არა აქვს უფლებამოსილება, და რომლებიც მხარეების შეთანხმების თანახმად პირდაპირი მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარებულიყო,უფლება მისცა ჩაერთოთ პოლიტიკურ კონფლიქტში.

ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ არამარტო სერიოზულად დააზიანა საკუთარი ლეგიტიმურობა, არამედ ხელი შეუწყო მხარეებს შორის პოლარიზაციას, რამაც ისინი უფრო დააშორდა დიალოგისგან, რომელიც ასე აუცილებელია მათ შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად. და ეს მოხდა, პროგრესის შესაძლეძლებლობის იშვიათ მომენტში, რაც შეიქმნა რეგიონში ბოლოდროინდელი ისტორიული მნიშვნელობის, ნორმალიზაციისკენ მიმართული ხელშეკრულებებით და ისრაელ-პალესტინის კოორდინაციის განახლებით. უცხო სასამართლოს მხრიდან ამ დაუსაბუთებელმა ჩარევამ წაახალისა პალესტინის უარი მოლაპარაკებების განახლებაზე, ხელსაყრელი აღმოჩნდა ექსრემიტებისთვის და სასამართლო ანტისრაელის პროპაგანდის იარაღად აქცია.

ისრაელი არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ერთგულია კანონის უზენაესობის და საერთაშორისო სამართლის. ისრაელი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა დაიცვას თავისი მოქალაქეები და ჯარისკაცები სასამართლოს მიერ მიღებული ამ არაკანონიერი გადაწყვეტილებისგან, რომელმაც გამოააშკარავა, რომ იგი პოლიტიკური ორგანოა და არა სასამართლო ინსტიტუტი.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფოს, ვისთვისაც ღირებულია საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა და ცდილობს დაიცვას იგი პოლიტიზირებისაგან, შეეწინააღმდეგოს ამ გადაწყვეტილებას და უარი თქვას ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე.

ვიზიტი პრეზიდენტის სასახლეში:

ისრაელის კონსული საქართველოში სმადარ ცემახ-რაცაბი საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციას ეწვია, სადაც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა.

კონსულმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს ამ ცერემონიალის ჩატარებისთვის, ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსთვის, რომ არ დაგვავიწყდეს ეს ადამიანური ტრაგედია და რომ დღევანდელი დღე სწორედ ამის დასტურია.

ბლოკადის გმირთა ხსოვნა

27 იანვარს — ჰოლოკოსტის ხსოვნის დღეს, იერუსალიმში, მემორიალურ კომპლექს „ხსოვნის სანთელთან“ რომელიც შარშან, იანვარში რუსეთისა და ისრაელის პირველი პირების ვ. პუტინისა და ბ.ნეთანიაჰუს მონაწილეობით ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის ეგიდით გაიხსნა, გაიმართა, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეთა ხსოვნის ცერემონიალი.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო წელს ცერემონიალი ვიწრო წრეში ჩატარდა — აქ იყვნენ იერუსალიმის მერი მოშე ლეონი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი, და სხვა ოფიციალური პირები

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ულალატო „გრუზინი“

ამ რამდენიმე თვის წინათ ისრაელში გარდაიცვალა იცხაკ ილანი — სურამში დაბადებული და გაზრდილი იცხაკ წიწუაშვილი — ერთობ ღირსეული ადამიანი, ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი თავკაცი, ადამიანი, რომელიც ისრაელის საზოგადოებრიობამ გულითადად გააცილა. ისრაელის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი „მაარივი“ იცხაკ ილანისაგან აღებული ინტერვიუს შესავალში წერდა: „თითქმის არ არსებობს დიდი ტერაქტის, ან უკვე ასაფეთქებლად მომზადებული ყუმბარის თაობაზე გამოძიება, იცხაკ ილანის ხელი რომ არ შეხებია და რომ „გრუზინს“ ჯერ კიდევ ჩანასახშივე არ ეცადოს მისი აღმოფხვრა“.

მკითხველს ვთავაზობთ გაზეთ „მაარივში“ დაბეჭდილ ინტერვიუს

ბატონ იცხაკს ესაუბრა გაზეთ „მაარივის“ კორესპონდენტი, ბენ კასპივ, რომელსაც ბევრი ისეთი ფაქტი უამბო, რასაც აქამდე გასაგები მიზეზების გამო, ვერ ამხელდა. მათ შორის, შეეხო ტაირ რადას მკვლელობის „შეკერილ“ საქმესაც...

კორესპონდენტი. შეგიძლიათ გვითხრათ, როგორი უნდა იყოს კარგი გამომძიებელი და რა თვისებებს უნდა ფლობდეს?

იცხაკ ილანი. მე გამოქვეყნებული მაქვს სტატია სათაურით „სისხლის სამართლის გამოძიების ფილოსოფია“. გამომძიებელი უნდა იყოს გამჭრიახი და გონიერი, ცნობისმოყვარე და თვითკრიტიკის უნარის მქონე, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, უნდა შესწევდეს ძალა, არ დაეთანხმოს ზემდგომთა განკარგულებლებს და იბრძოლოს საკუთარი პოზიციის დასაცავად. უმთავრესი კი, მაინც მორალური სისუფთავეა.

კორ. მორალურად სუფთა გამომძიებელი?

ი. ი. დიახ, ეს საწყისი პირობაა. მხოლოდ მაღალი ზნეობრიობა ეხმარება მას გაიგოს, როდის აღიარებს ეჭვმიტანილი დანაშაულს ნამდვილად და როდის — იძულებით. მაშინ იგი არ იყენებს მის ხელთ არსებულ უკიდურეს საშუალებებს ბრალდებულის გამოსატეხად.

კორ. არაერთხელ მჯდარხართ იმ ტერორისტის წინ, რომელიც ცოცხალ ნაღმს წარმოადგენს, ანუ მისი თანამზრახველნი, სადაცაა ამოქმედდებიან და თუ ნახევარ საათში არ გამოტეხავთ, ვიღაც თავს თელ–ავივში აიფეთქებს, რასაც ადამიანების სიცოცხლე შეეწირება. აქ ზნეობრიობის დროა?

ი. ი. გამომძიებელი მიზნობრივად მოქმედებს: მოსახლეობას ტერაქტები ააცილოს თავიდან და დაიცვას მოქალაქეების სიმშვიდე. თუ ცრუ აღიარებას დასჯერდება და ეჭვმიტანილს ციხეში გაგზავნის, ბადებს ახალ მტერს და ამით ორმაგი ზიანს მოაქვს. ნამდვილი დამნაშავე კი დათარეშობს და ტერაქტებს აწყობს. ამ დროს სპეცსამსახურების სიფხიზლე სუსტდება იმ იმედით, რომ ტერორისტი უკვე დაკავებულია.

იცხაკ ილანის, მეტსახელად „გრუზინი“–ს ხსენებაც კი, მეხსა სცმს ყველა ტერორისტსა და ჯაშუშს. იგი ითვლება იმ ისრაელელად, რომლის ანგარიშზეა უამრავი აღმოჩენილი და განადგურებული ტერორისტი, პროფესიონლურად გამოძიებული საქმეები და რომელმაც წლების განმავლობაში აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს. რამალაში განლაგებულ „შაბაქში“ იძიებდა ურთულეს საქმეებს პირველი ინტიფადის დროს და გახლდათ სამარიის „შაბაქის“ უფროსი მეორე ინტიფადის დროს, აგრეთვე ღაზას სექტორში ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების სახელგანთქმული ხელმძღვანელი. უამრავი ტერორისტული აქტის, ან ბორტმოქმედთა მიერ წანასწარ დაგეგმილი მკვლელობების გახსნაა აღნუსხული, რომლებიც იცხაკ ილანის სახელს უკავშირდება. („ჩემი 34 წლის ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე, მსგავსი თვითკმაყოფილება არ მიგრძვნია, რაც ამ ადამიანთან გატარებული თითქმის ათი საათის განმავლობაში“ – ბენ კასპივ.) იგი უნდა დაენიშნათ „შაბაქის“ უფროსად იუვალ დისკინის შემდეგ, მაგრამ ახლადგამოცემული კანონის თანახმად, გადამდგართა რიგებში აღმოჩნდა. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით.

64 წლის მხნესა და ახალი იდეების მქონე იცხაკ ილანს, რამდენიმე თავის წინ ხელახლა ებოძა სიცოცხლე. მას ფილტვის გადანერგვა მოუხდა. იცხაკს მეუღლე, ლია, შეგუებული იყო იმას, რომ იგი ოჯახზე მეტ დროს, სამსახურს უთმობდა. სამი შვილი და სამი შვილიშვილიჰყავთ. იგი ისეთი უდრეკი მემარჯვენეა, რომლის მსგავსს ძნელად თუ დავასახელებთ, უასაფრთხოებაში გამორჩეული, მტკიცედ შენარჩუნებული ზნეობითა და ფასეულობებით. მისთვის კანონის უზენაესობა,

ყოველგვარ პირადულზე უწინარესია. პირადობის გაკულტება აგონებს საბჭოთა რეჟიმს. იგი არ არის პოლიტიკოსი. ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, აკეთებს ისე, როგორც გრძნობს და კანონიერების სადარაჯოზეა მუდამ. ვისაც კი გასაუბრებია, ყველამ იცის ეს. ბენი განცთან დაკავშირებული მტკივნეული და დამამცირებელი თავგადასავალის შემდეგ, მოიცალა ბატონმა იცხაკმა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეების, პრინციპების, იმედების გაცრუებისა და ანგარიშგების გაშუქებისთვის.

კორ. ყალბი ჩვენება მაშინ, როცა სამუდამო პატიმრობა ემუქრება?

ი. ი. მოგიყვან ერთ თვალსაჩინო მაგალითს ცრუ ჩვენებით მიყენებულ ზიანზე. გახსოვს გატაცებული და შემდეგ მოკლული ჯარისკაცი, ოლეგ შეიხეტი?

კორ. მისი დავიწყება შეუძლებელია.

ი. ი. მაშინ სამარიის „შაბაქის“ მეთაური გახლდით. შეიხეტი გაიტაცეს ნაცარეთთან ახლოს, სოფელ ქანაში 2003 წ. შემზარავი ამბავი მოხდა. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ, დაკავებულ იქნა მკვლელობაში სამი ეჭვმიტანილი. მათ აღიარეს დანაშაული და მათთვის უნდა წარედგინათ ბრალდება. მაგრამ მივხვდით, რომ ისინი სიმართლეს არ ამბობდნენ, რაზეც ვაცნობეთ სახელმწიფო პრკურორს, ქალ. ედნა არბელს.

კორ. ჩემთვის გაუგებარია, ჯერ დაკითხეთ, მიუსაჯეთ და მერე მიხვდით, რომ ყალბი ჩვენება იყო?

ი. ი. დიახ, შევცდით. მთავარია, რომ დროზე მივხვდით რაში იყო საქმე. ფაქტების აღდგენის დროს უზუსტობას ჰქონდა ადგილი. მოვითხოვეთ მათი განთავისუფლება. უნდა გენახათ ჩრდილოეთის ოლქის პილიციის უფროსის, იაკობ ბოროვსკის „ზეიმი“. მოიწვია ფოტოკორესპონდნტები, შეატყობინა მათ ოჯახებს და რა აღარ გააკეთა. ეს ამბავი არც ედნა არდნს ესიამოვნა, მკაცრად გაგვაკრიტიკა. როგორც თქვენ ახლა, ისიც გვეკითხებოდა, ეს როგორ? ავი დიხტერი, „შაბაქის“ მაშინდელი უფროსი, იძულებული გახდა ეთქვა: „ქალბატონო, სახელმწიფო პრკურორო, ჩვენ დავესწრებით სასამართლოს და მოგახსენებთ ჩვენს აზრს, რომ მათ არ მოუკლავთ და ადგილი აქვს გამიზნულად შეცდომაში შეყვანას.

კორ. საოცარია! „შაბაქს“ ტერორისტებისა და მკვლელების განთავისუფლება უნდოდა, და სახელმწიფო პროკურორი იყო წინააღმდეგი?

ი. ი. ზუსტად ასე იყო. ამასობაში ამ ორგანოს საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელად დავინიშნე. პირადად მე დავუბრუნდი ზემოხსენებულ საქმეს და მთელი ძალისხმევით ვიმუშავე. გავეშურე შემთხვევის ადგილზე, გავცხრილე ყველაფერი, განვაახლე ყველა საგულისხმო, მიმალული წვრილმანი, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ გამოძიებისას.

კორ. რას ნიშნავს „მიმალული“?

ი. ი. ეს არა მხოლოდ გამოუქვეყნებელი დეტალებია, არამედ არც პოლიციამ, არც „შაბაქმა“ და არც გამოძიებამ არ იცოდა არაფერი ამის შესახებ. თუ ეჭვმიტანილი მეორადი დაკითხვისას ამატებს რაიმე ახალ დეტალს, ესე იგი გამოტეხე. მოკლედ, ვართ ედნა არბელის კაბინეტში, მე ანგარიშს ვაბარებ,რომ შეიხეტის ნამდვილი მკვლელების კვალს ვადგავარ. მან შეწყვიტა მსჯელობა, მოუბრუნდა ავი დიხტერს და ეკითხება, გესმის, რას ამბობს შენი საგამომძიებო განყოფილების უფროსი? მე ამ დღეებში მკვლელებს საბრალდებო დასკვნის წაყენებას ვუპირებ და ეს სხვებს ეძებს? დიხტერმა თვალის დაუხამხამებლად მიუგო: „ჩემო ქალბატონო, ეს ჩვენი პროფესიული აზრია და განსხვავდება თქვენი აზრისაგან. ვაცხადებთ, რომ ჩვენება არ იყო სიმართლე და ჩვენ ნამდვილ მკვლელებს შევიპყრობთ“.

კორ. მე უკვე უკიდურესად დავიძაბე, როგორ დამთავრდა ეს ამბავი?

ი. ი. არ გასულა ბევრი დრო და შუაღამისას მირეკავს ჩრდილოეთის საგამოძიებო განყოფილების უფროსი: „იცხაკ, შეტაკება მოხდა, ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს სასზღვრო პოლიციას, ერთი მათგანი განადგურებულია და მეორე — დაჭრილი. ეს მოხდა სოფელ ქანასთან. მოკლულისგან ამოღებულია 16 ტიპის იარაღი. უმალ მივხვდი, რომ ესენი არიან მკვლელები. იარაღის შესწავლამ, გახადა ნათელი და დაადასტურა, რომ იარაღი ეკუთვნოდა ოლეგ შეიხეტს, დაღუპულ ჯარისკაცს. მეგონა „სამართალი პურსა ჭამდა“, შევცდი. ბოროვსკი არ იყო მზად ასე ადვილად დაენებებინა მის მიერ დაკავებული „მკვლელები“. პოლიციამ თავისი ვერსია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, დაპატიმრუბულებმა ციხიდან გაყიდეს შეიხტის იარაღი და ამრიგად მოხვდა იგი ტერორსტებთან. ეს ყოვლად მიუღებელი იყო ჩემთვის. მივხვდი, რომ დიდი ფრონტი მელოდა. უმალ მოვითხოვე დიხტერთან შეხვედრა. მე ვუთხარი, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ სასწრაფოდ მივწეროთ მთავრობის იურიდიულ მრჩეველს, მენი მაზუზს, ზუსტი განმარტება, თუ რას ვფიქრობთ ჩვენ. მაზუზმა მეშინვე მოაწყო ამ საკითხის განხილვა. ბოროვსკი მთელი თავის ამალით ეახლა და წარადგინა თავისი მტკიცებები იარაღის ციხიდან გაყიდვის თაობაზე, რომ შეუძლებელია იმ აზრის დაშვება, რომ მათ ყალბი ჩვენება მისცეს, თანაც მათ მკვლელობის მთელი სურათი გაიმეორესო.

კორ. მის ნათქვამში არის ლოგიკა. არა?

ი. ი. იქნებოდა ლოგიკური, თუ ეჭვმიტანილების ჩვენებები და – ემთხვეოდა პოლიციის მტკიცებულებებს. ეს იყო ყველაზე უნიათო, რაც მანამდე მინახავს. გამოძიების ამ ეტაპზე, იმ ორ დეტალზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რაც ერთი შეხედვით, უხილავია: მარშრუტი, საითაც წაიღეს გვამი დასამარხად, სოფელ ქანას სიახლოვეს. ჩვენს გარდა, არავინ იცოდა, რომ ამ გაზაზე ჯარისკაცს ბერეტი დაუვარდა. ეს არ გამოქვეყნებულა. ამას კლასიკურად ჰქვია უხილავი დეტალი. მეორე დეტალი გახლავთ პარამედიკი ექიმის დასკვნა, რომ ჯარისკაცს ესროლეს 16-დან ყელში. აქ საჭიროა მთელი გულისყურის მოკრება. მკვლელობაში ნამდვილ ეჭვმიტანილს, რომელიც ახალახანს დააკავეს, ვკითხე: „მითხარი, როგორ მოკალით შეიხეტი?“ ამას ჩვენებურად „პირადაპირი შეკითხვა“ ჰქვია და არის ყველაზე სწორი: „მართლა ყელში ესროლეთ?“ ამით მცდარ მიმართულებას დაადგები. მან დაწვრილებით გვიამბო, თუ როგორ ჩაალაგეს განგებ მუყაოს ყუთები მანქანის უკნა სავარძლებზე, რომ ჯარიკაცი წინ დამჯდარიყო , მძღოლის გვერდით. უკანა სავარძელთან ჩასაფებულმა კი მას უეცრად ყელში წაუჭირა ველოსიპედის მუხრუჭის ჯაჭვი და ისე მოახრჩო. სრულიად საწინააღმდეგო ჩვენებები იმ დაკავებულებისგან განსხვავებით, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ამიტომაც გამოძიების საბოლოო პატაკში ხსენებაც არ ყოფილა დახრჩობის თაობაზე. მათ განაცხადეს, რომ ესროლეს მსხვერპლს. აქ უკვე ყველაფერი ნათელი

გახდა. გავგზავნეთ წერილი პათოლოგიის ინსტიტუტში და არ მიგვითითებია სიკვდილის ჩვენეული მიზეზი, უბრალოდ ავღნიშნეთ, რომ შეიხეტის სიკვდილის გამომწვევ მიზებზე გამოძიების სხავადასხვა ვერსიები არსებობს და მოვითხოვეთ ხელახალი შემოწმება. ჩვენდა საბედნიეროდ, მაშინ გვამის გაკვეთას ვიდეოთი იღებდნენ. გამოიცნობ რა იყო? პასუხად მივიღეთ, რომ დასკვნაში შეცდომა გაიპარა, შეიხეტი გარდაიცვალა უკნიდან ყელში წაჭერილი მძიმე, ჯაჭვის მსგავსი საგნით. მაშ, საიდან იყო ნახსენები სროლის შედეგად მკვლელობა? სრულიად უბრალოდ, დახრჩობის შემდეგ, ჯარისკაცის სატაბელო იარაღით საკონტროლო სროლა განახორციელეს. მხოლოდ ჩვენს მიერ შეპყრობილმა იცოდა, სინამდვილე და საბრალდებო სკამზე მსხდომმა კი არაფერი. აი, ეს იყო მეორე უხილავი დეტალი. ამით საქმე არ დამთავრებულა. მათ მისი ნივთები დაწვეს სოფლის მეორე მხარეს. ეგრეთწოდებულმა „მკვლელებმა“ ამის შესახებ არა იცოდნენ რა. უკვე ნამდვილ მკვლელს ვკითხეთ, თუ რა იყო დამწავრ ნივთებში. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მას სრული სია ქონდა ჯარისკაცის ნივთებისა: ფეხსაცმელები, ჯარისკაცის პირადობის დამადასტურებელი წიგნაკი, (მეტალის ფირფიტა პირადი ნომრით, რომელსაც ყელზე ძეწკვით ატარებენ). ახალი კი, ის შევიტყეთ, რომ შესახვევი მასალაც ყოფილა, რაც არსად არ აღნიშნულა. მეორადი შემოწმების შემდეგ, იქაც გვითხრეს, რომ შეცდომა იყო დაშვებული.

კორ. როგორ დმთავრდა ეს ამბავი?

ი. ი. ნამდვილი დამნაშავე გამოტყდა და შემთხვევის ადგილზე გაიმეორა, როგორც იყო. შეცდომით პატიმრობაში მყოფნი განთავისუფლდნენ და მილიონობით კომპენსაციაც მიეცათ.

მაზუზმა დიდი ყურადღებით მოისმინა „შაბაქისა“ და პოლიციის ვერსიები და ჩამოაყალიბა პროკურორთა ჯგუფი ელი აბარბანელის ხელმძღვანელობით. ერთპიროვნულად გამოიტანეს დასკვნა, რომ სიმართლე ჩვენს მხრეზე იყო. არც სამართლიანი კრიტიკა დაუკლიათ, რომ ბევრი დრო დაგვჭირდა ამისთვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უკვე სასამართლოს მსვლელობის დროს ვიცოდით, რომ საბრალდებო სკამზე მსხდომთა აღიარება ნამდვილი არ იყო. ეს მართლა დაუჯერებელია.

კორ. როგორ ხდება, რომ ვისაც არ ჩაუდენია, აღიარებს მკვლელობას და სასამართლოზეც ადასტურებს?

ი. ი. მე მაქვს ვრცელი სალექციო მასალა ამის თაობაზე, თუ საერთოდ რატომ აღიარებს ადამიანი იმას, რაც არ ჩაუდენია? ის ხომ მუდმივ პატიმრობაზე აწერს ხელს. ისრაელში დუმილის უფლება არსებობს. ადამიანს აღიარების მომენტში (არც წუთით წინ და არც შემდეგ), მიაჩნია სუბიექტურად, რომ ასე სჯობს, უსასრულოდ გაგრძელებულ მის დაკითხვებს. ეს აზრი შეიძლება გაჰყვეს სასამართლომდეც კი. გამომძიებლებს მეტი პრფესიონალიზმი და პრინციპულობა მართებთ. ჩემი ამგვარი თვისებების გამო, რომელთაც არ ვღალატობდი იოლად, ათეულობით ადამიანი სამუდამო პატიმრობას გადარჩა. მერწმუნეთ, ასე ჯობია.

სულ ცოტა ხნის წინათ, როცა იცხაკ ილანს ორგანიზმში I (ფილტვის ფიბროზა) აღმოაჩნდა და ყველა გამოკვლევის შემდეგ, მიხვდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩა (მისი შეფასებით, ლაპარაკი იყო დაახლოებით ერთ წელიწადზე). მან მიამბო: „მდგომარეობის მწარე სინამდვილეში ჩაძირვის მაგიერ, ვალდებული ვიყავი მომეკრიბა ძალა, აზრები და ორი რამ გამეკეთებინა. პირველი: პოლიტიკაში შევსულიყავი და მეცადა წონადი გავლენის მოხდენა. მეორე: დამემტკიცებინა რომან ზოდოროვის უდანაშაულობა. ეს ჩემში ბობოქრობდა, მღრღნიდა.

კორ. ოჯახმა როგორ მიიღოეს ამბავი, რა რეაქცია ჰქონდა?

ი. ი. ბევრი ფიქრის შემდეგ, მეუღლეს და შვილებს ვთხოვე რჩევა. პოლიტიკასთან დაკავშირებით, უარყოფით რეაქციას წავაწყდი. არც ერთმა არ დამიჭირა მხარი. მითხრეს, ტყუილად ავიტკიებდი თავს. ჩემმა მეუღლემ, ლიამ, მითხრა: „შენ პირდაპირი ადამიანი ხარ, რაში გჭირდება, ეს დიდი შეცდომა იქნება“.

კორ. ის მართალია.

ი. ი. შესაძლოა. მე მათემატიკოსი ვარ და გამოვთვალე, რომ წინ მთელი წელიწადი მაქვს, მინდოდა იგი შინაარსიანი და ნაყოფიერი ყოფილიყო. რატომ არ გავიღო რაიმე ჩემი ქვეყნისთვის?

კორ. ქვეყნის სასრგებლოდ როგორც დამთავრდა, ყველამ ვიცით, ამას კიდევ მივუბრუნდებით. ზოდოროვთან დაკავშირებით რა ხდება?

ი. ი. ჯერ არ დამთავრებულა, ახლა იწყება. უმაღლესი სასამართალოდან საქმის ხელახლა გარჩევაზე პასუხს ველოდები კარგად მომისმინე, 30 წელზე მეტია მაღალპროფესიული გამომძიებელი ვარ. აქ თეთრი ძაფით „შეკერილ“ საქმესთან გვაქვს საქმე. ეს შეცდომა არ არის, შეთითხნილია ყველაფერი. ციხეში გამოამწყვდიეს უდანაშაულო ადამიანი, ზოდოროვს არაფერი ჩაუდენია. ვერ მოვისვენებ და ვერ დავწყნარდები, ვიდრე სიმართლე არ გამომზეურდება. ეს მე ჯარნმრთელობის ფასად მიჯდება.

იცხაკ ილანი დაიბადა დაბა სურამში. მისის პაპა იქაური ჯამაათის რაბი ყოფილა, რომლის ძმა, მიხეილი ისრაელში ამოსულა 1920 წელს გემით, არიელ შარონის მშობლებთან და სურამელოსთან ერთად (იერურუშალაიმელი მითოლოგიური მთხრობელი). მისი მეტსახელი სურამელოა. „ჩვენ ერთ დაბაში ვცხოვრობდით, შორეული ნათესავებიცა ვართ, ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ მეც კარგად მეხერხება თავგადასავლების თხრობა“, ამბობს ილანი. მართლაც საგულისხმოა, თუ როგორ ძალუძს მას საოცარი სიზუსტით, წარმოსახვით, ვნებით, მხატვრულად, მდიდარი სიტყვის მარაგით, აღწეროს მომხდარი და ამ დროს მოთხრობა ცოცხლდება. მას კი მოსაყოლს რა გამოულევს. იცხაკის პაპის მეორე ძმა, მოშე ჰაკატანი, ხაფეც ხაიმის მოსწავლე ყოფილა. იგი ისტორიული პიროვნება გახლდათ იმ მოსაზრებით, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ხელი მოაწერა 1918 წელის საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას. მან მაჩვენა კიდევ ერთი ხელშეკრულება რაბი სოლოვეიჩიკის მიერ ხელმოწერილი და ეამაყება, რომ მისი მდივანი ილანის პაპა ყოფილა.

როცა მათი, სიონიზმით გამსჭვალული ოჯახი ისრაელში ამოვიდა, ილანი 17 წლისა იყო. ერთი წლით ადრე კი, მესამე ადგილი მოიპოვა მთელი საბჭოთაკავშირის მასშტაბით ზუსტ მეცნიერებებსა და მათემატიკაში. „როცა კვარცხლბეკზე ავედი პრიზის მისაღებად, პირველ და მეორე ადგილებზეც ებრაელები იყვნენ. მათ ტიპიური ებრაული გვარები ჰქონდათ და ჩემი გვარი წიწუაშვილი ქართულად ჟღერდა, მაგრამ მე მათ ჩავჩურჩულე, რომ მეც ებრაელი ვარ“. საქართველოს პატარა დაბიდან ამ პრესტიჟულ ღონისძიებაზე მოხვედრა, არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. სიონიზმმა სძლია აახალგაზრდა იცხაკ წიწუაშვილის სამომავლო სამეცნიერო კარიერას. როდესაც საქართველოს ებრაელობა ისტორიულ სამშობლოსკენ დაიძრა, იცხაკის პაპამ გადაწყვიტა, დარჩენილიყო სურამში, მანამ, სანამ ჯამაათის ნახევარზე მეტი მაინც არ დასტოვებდა იქაურობას, რათა ისინი რაბინის გარეშე არ დარჩენილიყვნენ. 1973 წელს მათი ოჯახიც ამოვიდა წმინდა მიწაზე და იერუსალიმში დასახლდა. დღემდე ზეთისხილის მთის სასაფლაოზე, მათაც ეკუთვნით ერთი ნაწილი. ილანის ნათესავების უმრავლესობა ან მორწმუნე, ან ორთოდოქსალურია. იგი გამონაკლისია, რომელიც ძალიან ღრმა მორწმუნეობას არ მისდევს. მისი ორი ბიძაშვილი, თბილისში ხარიდიმები არიან. ილანის უმცროსი ძმა კი, აგეგმარებდა რაკეტსაწიგააღმდეგო სისტემის კონტროლს, რომელიც 48 წლის ასაკში გარდაიცვალა.

1973 წლის ნევე იაკობის უბანი იერუსალიმში, პატარა ამიდარის ბინა, საქართველოდან ამოსულების ოჯახი, მშობლები და სამი შვილი. „ვინ დაიჯერებდა, რომ იქიდან მოვიდოდი აქამდე, სადაც დღეს ვიმყოფები“, ამბობს იცხაკი. როდესაც ჯარში მსახურობდა აირსაწინააღმდეგო თავდაცვაში, მისი ივრითი არ იყო სრულყოფილი, რის გამოც ოფიცრობის კურსზე ჩაიჭრა. მან მეორე შანსის ნება ითხოვა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, წარჩინებით ჩააბარა, რაც უდიდესი ძალისხმევის შედეგი იყო. ფანრის შუქზე თუ ქიფურის ომის შემდეგ სინაიზე დარჩენილ სანგრებში, სადაც კი დროს მოიხელთებდა, სწვლობდა და სწავლობდა. ერთ სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, როცა საჰაერო თავდაცვის მეთაური გადასცემს ოფიცრის სამხრეებს, რაც დღემდე მღელვარებას იწვევს მასში. მიზეზი კი მეთაურის ნათქვამია, „წიწუაშვილო, არ შეარცხვინო შენი გვაარი“. მას მერე იცხაკ ილანი ცდილობდა.

არიელ შარონთან მას განსაკუთრებული კავშირი ჰქონდა. შარონს მეგობრები „კავკაზი“-ს ეძახდნენ მოფერებით. მისი ბებია თბილისშია დაკრძალული. ილანი იგონებს: „ერთხელ, მეტად საიდუმლო საკითხზე მსჯელობისას, გაიგონა რა ჩემი კილო, შარონმა მკითხა, საიდანა ხარო. როცა ვუთხარი საქართველოდან და მიჭირს თავი დავაღწიო ჩემ კილოს მეთქი, მითხრა: „იცი, ჩემი ფესვებიც იქიდაანააო“. დიახ, ვიცი მეთქი. თავისკენ მიმიხმო და მკითხა რამდენი ენა იციო. ხუთი: ქართული, რუსული, ივრითი, არაბული და ინგლისური, ვუპასუხე. შარონმა დამტვრეული რუსული იცოდი და ამიტომ ძლიერ გაუკვირდა“. ასე დამეგობრდნენ „კავკაზი“ და „გრუზინი“ მთავრობის მეთაურის კაბინეტში, ათეული წლების შემდეგ, რაც მათი წინაპრები კავკასიის მთებს გამოეთხოვნენ და სიონისკენ წამოვიდნენ.

დემობილიზებული იცხაკ ილანი მათემატიკურზე აპირებდა სწავლას უნივერსიტეტში. სწამდა, რომ ეს იყო მისი მოწოდება. ცხოვრება მას სხვა ბედს უმზადებდა. უცნაურმა სატელეფონო ზარმა , არანაკლებ ორი უცნაური ადამიანისგან, რომლებიც თავდაცვის სამინისტროდან იყვნენ, მიიყვანა იგი საჰაერო თავდაცვის სამსახურამდე. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ილანის რუსულის ცოდნით. შპიონაჟის აღმომფხვრელთა კორპუსში სჭირდებოდათ რუსულის ისეთი მცოდნე, რომლიც მშობლიური ენის დონეზე იქნებოდა. ამ განყოფილებაში რამდენიმე წლის თავდადებული სამსახურის შემდეგ, ყველას გასაკვირად, ილანმა მოითხოვა არაბული ენის შესწავლა, რათა არაბულ სექტორში გადასულიყო. როდესაც იქ მოეწყო, უთხრეს, რომ ის ახალია და ყოველ დილით ყავა უნდა მოუდუღოს ყველას. „კი მაგრამ, რუსები არ სვამენ ყავას. მაშინ უთხრეს: „არ არის სავალდებულო, ნუ დალევ, შენ მხოლოდ მოადუღე.“ „და თუ არ ვიცი?“ „არა უშავს, ისწავლი.“ მის ბედზე , სხვა ახალწვეული მოვიდა და შეცვალა იცხაკი. სამაგიეროდ, „შაბაქში“ყავის სმა ისწავლა .

რუსი ჯაშუში, შაფთაი კალმანოვიჩი, შეპყრობილ იქნა 1987 წლის დეკემბერში, გაჩაღებული პირველი ინტიფადის დროს, როცა იცხაკი ჯერ კიდევ არაბულ კორპუსში იმყოფებოდა. იგი სასწრაფოდ იქნა გაწვეული სთადარიგო სამსახურის ქვეგანაყოფის რუსულ ნაწილში. იცხაკ ილანი არ იყო მთავარი ფიგურა კალმანოვიჩის გამოძიებაში, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია რუსულის საუკეთესო ცოდნით. „შედარებით ადვილად გამოტყდა კალმანოვიჩი, სულ რაღაც 20 წუთში“, იხსენებს იგი. „ის ნამდვილი, ოსტატურად ჩანერგილი, გაწვრთნილი ჯაშუში გახლდათ. ერთი კვირა ვიძიებდი სასტუმროში, შემდეგ კი, საპატიმროში „კიშონ“.

კორ. კალმანოვიჩი ისრაელში როგორ მოხვდა?

ი. ი. შპიონაჟის ქსელში ჯერ კოდევ ს.ს.რ.კ-ში იყო. დედამისმა რუსი ოფიცერი მოისყიდა, რათა დედისერთა შვილი ჯარის სამსახურიდან დაეხსნა. ისინი ისრაელში ამოვიდნენ იმ მიზნით, რომ შაფთაი რუსეთის სამხედრო აგენტი ყოფილიყი. განსაკუთრებულ ქვეგანაყოფში მოხვდა, რომელიც შიდაგანაწესს აკონტროლებდა. დემობილიზებული კი, გადავიდა უშიშროების კომიტეტში (კ.გ.ბ.). როდესაც დიდი ალია დაიწყო, მან ახალი განკარგულება მიიღო: სრული, მთლიანი ჯაშუშობა გაეწია რუსეთისთვის ისრაელიდან. მისი მთავარი მიზანი „შაბაქში“ შეღწევა და იქ სამსახური გახლდათ.

კორ. გაუმართლდა?

ი. ი. არა, მაგრამ ჩვენს დამხმარედ იქცა.

კორ. ესე იგი, ორმაგი აგენტი იყო?

ი. ი. არა, მოდი განვმარტოთ. არის აგენტი და არის ორმაგი აგენტი. თუ გაიგზავნება ერთი მიმართულებით, იქ ამხილეს და თავის სასაგებლოდ იყენებენ, ამას ორმაგი აგენტი ჰქვია. კალმანოვიჩი რუსეთის აგენტი იყო, ჩვენ გამოვააშკარავეთ და დავაპატიმრეთ. ჩვენ რომ უკან გაგვეგზავნა, მაშინ რუსები დეზინფორმაციით „გამოკვებავდნენ“ და ამოქაჩავდნენ რაც იცოდა.

კორ. ის, რომ „შაბაქს“ ეხმარებოდა,მისთვის არ არის დიდი მიღწევა?

ი. ი. სინამდვილეში არა. მას ჩვენს ძირითად საიდუმლოებამდე არც მიუღწევია. მის გარდა, ჩვენ სხვა აგენტებიც გვყავდა. რასაც შაფთაი ჩასწვდა იყო ის, თუ რა გვაინტერესებდა , რა ინფორმაციის მოპოვება გვინდოდა. ამას გადასცემდა, რაც მაათვის გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენდა. ასე აგებენ ისინი სააგენტო ქსელებს, როცა იციან, რას ვეძებთ და როდის უნდა იყვნენ ფხიზლად. შპიონაჟის პრინციპით, ყოველი მხარე ცდილობს ორი ნაბიჯით დაასწროს მოწინააღმდეგეს.

კორ. ნამდვილი ჯონ ლე კარეს დეტექტივია.

ი. ი. ყველა ცდილობს მეორე მხარის შეცდომაში შეყვანას. როდესაც ახალ აგენტს „ჩანერგავენ“, გადასცემენ მას შეტყობინებას, რასაც „ხუთეული“ ჰქვია, ხუთი ციფრია წასაკითხი, რომელსაც მოკლეტალღიან რადიოში იყნებენ. როდესაც დაზვერვა აღმოაჩენს ამ „ხუთეულს“, მან იცის, რომ ახალი აგნტი გამოჩნდა.

კორ. რა გამოდის, კალმანოვიჩი რუსეთის მთავარი აგენტი იყო დიდი ალიის პერიოდში?

ი. ი. დიახ, იყვნენ სხვებიც, მაგრამ „წვრილფეხა“ და ისინი დიდ ინტერესს არ იწვევდნენ ჩვენში, არც კი გვიხლია ხელი მათთვის, რომ ალია არ დაზარალებულიყო.

გაზეთ „მაარივიდან“
თარგმნა ლია კრიხელმა

მინიანი თეთრ სახლში

ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეულმა და 20 იანვარს უკვე ნაკურთხმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ახალი მთავრობის წევრების სია რომ გამოაქვეყნა, ებრაულ „ტვიტერში“ ხუმრობდნენ თეთრი სახლის დასავლეთის ფრთაში მინიანი არისო, ესეიგი აშშ ახალ მთავრობაში ათი ებრაელია(ებრაული ტრადიციის თანახმად, იმისათვის, რომ ლოცვა ლეგიტიმური იყოს, ათი ზრდასრული — 13 წლისა და მეტის — ებრაელი მამაკაცი მაინც უნდა შეიკრიბოს).

ვინ არიან ის ებრაელები, რომლებიც აშშ ხელისუფლების წამყვან პოსტებზე დაინიშნენ?

რონალდ კლეინი — თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — 59 წლის რონალდ კლეინი ინდიანაპოლისში დაიბადა და გაიზარდა. 2007 წელს „ნიუ-იორკ ტაიმსის “ კორესპოდენტთან საუბრისას მან თქვა, რომ მონიკა მედინზე დაქორწინებისას, მომავალ მეუღლეს შეუთანხმდა, რომ მათი სამივე შვილი ებრაული ტრადიციით გაიზრდებოდა, თუმცა, შობის დღესასწაულის აღნიშვნაზეც არ იტყოდნენ უარს.

ჰარვარდის იურიდიული სკოლის დიპლომის მფლობელი რონალდ კლეინი ჯერ აშშ ყოფილი ვიცე პრეზიდენტის — ალ გორის აპარატის უფროსი გახლდათ, შემდეგ კი — ჯო ბაიდენის, ვიდრე იგი აშშ ვიცე პრეზიდენტობის პირველ კადენციას გადიოდა, მოგვიანებით პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ებოლას სენის გავრცელებასთან ბრძოლის საბჭოს მეთაურად დანიშნა.

ახალი პრეზიდენტის არჩევის კომპანიაში რონალდ კლეინმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ჯო ბაიდენის პროგრამის შემუშავებაში.

ენტონი ბლინკინი — სახელმწიფო მდივანი — ნიუ იორკში დაიბადა, 9 წლისა კი დედასა და მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფა-გამოვლილ მამინაცვალ სემუელ პიზართან ერთად პარიზში გადასახლდა. ენტონის მამა — დონალდ ბლინკინი გახლდათ აშშ ელჩი უნგრეთში, ბიძა — ალანი ბელგიაში იყო აშშ ელჩი, დიდი ბაბუა — მეირ ბლინკინი — მწერალი გახლდათ. იდიშზე წერდა, ჰარვარდის უნივერსიტეტში განათლებამიღებულმა ენტონი ბლინკინმა სამსახურებრივი კარიერა კლინტონის პრეზიდენტობისას დაიწყო — ეროვნული უშიშროების საბჭოში ჯერ სტრატეგიული დაგეგმარების უფროს დირექტორი იყო, შემდეგ კი პრეზიდენტის სპიჩრაიტერად დაინიშნა. ბუშის მმართველობის წლებში სენატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის შტატიანი დირექტორი გახლდათ. ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველი კადენციისას, ბლინკინი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ვიცე პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველია, 2014 წელს კი იმდროინდელი სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მოადგილე. ბოლო წლებში საგარეო პოლიტიკის საკითხებში უფროსი მრჩეველი იყო, 2020 მწლიდან — ბაიდენის საარჩევნო კომპანიისას, ებრაულ და პროისრაელურ ორგანიზაციებთან ურთიერთობასაც კურირებდა. ბლინკინი აპირებს უახლოეს მომავალში განაახლოს ირანთან მოლაპარაკება ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებით. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ერთ-ერთ ინტერვიუში ბლინკინი მიესალმა ისრაელისა და რამდენიმე არაბული სახელმწიფოს სამშვიდობო შეთანხმებას, მაგრამ ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობის სახითხსაც უნდა მივხედოთო, განაცხადა, თუმცა, სენატში ისიც თქვა უახლოეს მომავალში კონფლიქტის მოგვარების არა-რა იმედი არა გვაქვსო.

ჟანეტ იელლენი — აშშ ფინანსთა მინისტრი — 74 წლის ჟანეტ იელლენი ბრუკლინში, პოლონელ ებრაელთა ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. იგი ისტორიაში შევა, როგორც აშშ პირველი ფინანსთა მინისტრი ქალი. მანამ სანამ აშშ სარეზერვო სისტემას ჩაუდგებოდა სათავეში. ჟანეტ იელლენი ჰარვარდის უნივერსიტეტში ეკონომიკას ასწავლიდა, 1994 წელს ჟანეტ იელლენი კლინტონმა ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭოს წევრად დანიშნა. 1997 წ. კლინტონის ეკონომიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭოს მეთაური გახდა, 2010 წელს, ობამას პრეზიდენტობისას კი, ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭოს მეთაურია.

აშშ ფინანსთა მინისტრის პოსტზე იელლენის უწინარესი ამოცანაა პანდემიით ძლიერ დაზარალებული ეკონომიკის გაჯანსაღება, ამავე დროს რუსეთის, ჩინეთის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ შემოღებული სანქციების ხელმძღვანელობა.

მარრიკ გარლანდი: გენერალური პროკურორი — 68 წლის მარრიკ გარლანდი ჩიკაგოს გარეუბნის ებრაულ უბანში გაიზარდა. მისი ბებია-ბაბუები რუსეთიდან ანტისემიტიზმს გაექცნენ. ანტიდიფამაციური ლიგის გენერალურმა დირექტორმა ჯონათან გრინბლატმა განაცხადა: „როგორც მრავალი წლის სახელმწიფო მოხელე, მოუთმენლად მოველი, რომ მარრიკ გარლანდი კრიტიკულად შეაფასებს აშშ გენერალური პროკურორის ოფისის მუშაობას“ და გადაწყვეტს იმ პრობლემებს, რომელიამ ქვეყანაშია, „მათს შორის სიძულვილისა და შინაგანი ექსტრემიზმის ნიადაგზე დანაშაულობათა ზრდას“.

ალეხანდრო მაიორკასი: შინაგანი უსაფრთხოების მინისტრი — კუბაში, ქ. ჰავანაში დაიბადა. იგი იქნება საზღვარგარეთ დაბადებული პირველი ადამიანი, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას უხელმძღვანელებს. მისი მამა სეფარადული წარმოშობისა გახლდათ, დედა კი გასული საუკუნის 40-იან წლებში რუმინეთიდან კუბაში ნაცისტთა დევნის გამო გაიქცა. მაიორტკასთა ოჯახი აშშ-ში 1960 წელს, კუბის რევოლუციის — ხელისუფლების სათავეში ფიდელ კასტროს მოსვლის შემდეგ გადასახლდა.

გამოჩენილი მეცნიერი — ებრაელთა მკვლევარი და მეგობარი

ლაშა ჟვანია
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში



გასული საუკუნის 30-იან წლებში, ქუთაისში ებრაელთა დასახლება დაიწვა. ამ უბნის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ვერაფრის გადარჩენა მოასწრო — მხოლოდ იმის ამარა დარჩა, რაც ტანზე ეცვათ. მათ მეზობელ ერთ-ერთ ქართულ — წერეთლების — ოჯახში 7 წლის ბიჭი იზრდებოდა. ამ ტრაგედიის ხილვის შემდეგ, ეს მოზარდი ყოველ დილით თანატოლებთან ერთად ქუთაისის ქუჩებში გადიოდა და კეთილი ხალხისგან, ერთ დროს დალხენილად მცხოვრები,დღეს კი გაჩანაგებული, ებრაელთა ოჯახებისთვის დახმარებას აგროვებდა.

შემდეგ, ეს ბიჭ სასწავლად თბილისს გაემგზავრა. უმაღლესი სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და სამეცნიერო მოღვაწეობის გზაზე შემდგარი, 1942 წელს, 21 წლისა, ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯს დგამს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მიმართავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდეს ებრაისტიკის კათედრა. საბჭოთა ბიუროკრატიის მარწუხების მიუხედავად, ქართველი მეცნიერების მხარდაჭერით, მიზანს მიაღწია და ევროპის კონტინენტზე ებრაელთა დევნისა და წამების, ყოველგვარი ებრაულის წალეკვის პერიოდში, ისრაელის სახელმწიფოს აღდგენამდე ოთხი წლით ადრე, 1944 წელს, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ებრაისტიკის კათედრა. ჭაბუკი მეცნიერი ენთუზიაზმით შეუდგა ქართველი სტუდენტებისთვის ებრაელი ერის ისტორიის და ბიბლიის ენის სწავლებას.

ეს ახალგაზრდა მეცნიერი გახლდათ შემდეგში საყოველთაოდ აღიარებული აკადემიკოსი კოტე წერეთელი. მოგვიანებით, მან და ქართველმა მეცნიერებმა საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსებას მიაღწიეს, სადაც ებრაული ენის სწავლება დღესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ბ-ნი კოტე წერეთელი საბჭოთა ოკუპაციის პირობებშიც ახერხებდა სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას ქართველ და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ სწავლულებს შორის.

1983 წელს საქართველოში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა და რამდენიმე სანიმუშო ქართული ოჯახი ამ ტრაგედიის ეპიცენტრში აღმოჩნდა. ამათ შორის გახლდათ კოტე წერეთლისა და მისი იერთგული მეუღლის სიყვარულის ერთადერთი ნაყოფი, 22 წლის ვაჟი, უნიჭიერესი მხატვარი — სოსო წერეთელი. იგი სასამართლოს განჩინებამდე საპატიმროში გარდაეცვალათ. ბ-ნმა კოტემ და ქ-მა ლეილამ შეძლეს ტრაგედიაზე მაღლა დადგომა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა დიდ სულიერ ტკივილს გარეშემომყოფთ არ ამჩნევინებდნენ.

გამოჩენილ მეცნიერს — კოტე წერეთელს ღრმად სწამდა, რომ ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენა და საქართველოს - კვლავ გათავისუფლება, ისტორიული სამართლიანობის გარდაუვალი შედეგი იქნებოდა. დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოსაც მოესწრო და ქართველებისთვის საყვარელი ერის — ებრაელების, ათასწლეულების შემდეგ აღდგენილ სახელმწიფოში — ისრაელშიც შეძლო ჩასვლა. უფრო მეტიც, - მადლიერმა ქართველმა ებრაელებმა 80 წლის იუბილე ისრაელში აღუნიშნეს. ამ ამაღლებული, სიყვარულით და პატივისცემით სავსე დღეების მონაწილე მეც ვიყავი. მისთვის იუბილეს მილოცვაში ერთმანეთს ბენიამინ ნეთანიაჰუ და ეჰუდ ბარაკი ენაცვლებოდნენ.

ის დაიბადა დამოუკიდებელ საქართველოში და დამოუკიდებელ საქართველოში გარდაიცვალა: 4 თებერვალს, დიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ებრაისტიკის ფუძემდებლის, აკადემიკოს კოტე (კონსტანტინე) წერეთლის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

კონსტანტინე წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივობით გამოირჩევა. მისი ნაშრომები ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ებრაულ, არაბულ და სხვა ენებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გამოქვეყნებული. მას საერთაშორისო სამეცნიერო და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში კონგრესებსა და კონფერენციებზე ლექციების და მოხსენებების წასაკითხად ხშირად იწვევდნენ.

აკადემიკოსი კოტე წერეთელის სამეცნიერო კვლევებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ქართულ-ებრაულ ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობის შესწავლას. ქართველ ახალგაზრდებს კი ებრაელთა ისტორიას და ენას დიდი სიყვარულით ასწავლიდა. სწორედ ბატონმა კოტემ, როგორც ქართველმა ებრაისტმა, მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ისრაელის მკვიდრი არის "ისრაელელი" და არა - "ისრაელი".

მისმა შრომებმა ებრაისტიკაში და არამეულ დიალექტოლოგიაში საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის ფართო კვლევას და მსოფლიო ორიენტალისტიკაში მის განვითარებას მისცა ბიძგი. საერთაშორისო სამეცნიერო ოჯახი კოტე წერეთელს არამეული დიალექტოლოგიის მამამთავრად მიიჩნევს.

4 თებერვალს სოსო და კონსტანტინე წერეთლების თბილ მუზეუმში ისრაელის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი სმადარ ცემახი მივიწვიე და გავაცანი ბატონი კოტეს განვლილი გზა, მისი შრომების მცირე ნაწილი, გავიხსენეთ ბატონი კოტე და მათი შვილის — „ჯინსების თაობის" ერთ-ერთი წარმომადგენლის — სოსო წერეთლის ცხოვრების გზა.

განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ ქართველი ებრაელები,რომლებმაც ბატონი კოტე მეუღლესთან ერთად დიდი პატივით მიიღეს ისრაელში, 80 წლის იუბილე აღუნიშნეს და ისრაელს და მსოფლიოს უჩვენეს, რომ იმ წლებში, როცა ევროპის კონტინენტზე ებრაელთა მიმართ არაადამიანური სისასტიკე მძვინვარებდა და საბჭოთა კავშირში ძლიერი იყო ანტისემიტისტური განწყობა, საქართველოში იზრდებოდნენ კონსტანტინე წერეთლის მსგავსი ახალგაზრდები, რომლებიც საკუთარი ძალებით ცდილობდნენ და აღწევდნენ საზოგადოებაში დიდი ებრაული კულტურის, ენის, და მწერლობის და ისტორიის პოპულარიზაციას.

04.02.2021

1990-იან წლებში მაიორკასი კალიფორნიის ფედერალური პროკურორი გახლდათ. 1998 წ. პრეზიდენტმა კლინტონმა ლოს-ანჟელესის პროკურორად დანიშნა. ანტიდიფამაციური ლიგის გენერალურმა დირექტორმა ჯონათან გრინბლატმა, რომელიც ობამას ადმინისტრაციაში მაიორკასთან ერთად მუშაობდა, იგი დაახასიათა, როგორც „უაღრესად პატიოსანი ადამიანი, "რომელიც წლების განმავლობაში ებრაულ ორგანიზაციებთან იმისთვის თანამშრომლობდა, რომ „გაეუმჯობესებინა ებრაული ორგანიზაციების უსაფრთხოება."

ავრილ ხეინსი: ეროვნული დაზვერვის დირექტორი — ჩიკაგოს უნივერსიტეტისა და ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის იურიდიული ცენტრის დამთავრების შემდეგ, გახლდათ ჰაგის კონფერენციის კერძო სამართლის საერთაშორისო სექტორის თანამშრომელი. შემდეგ — აშშ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე დენი ჯულიან ბოგგსის თანაშემწე. ეს ქალბატონი სახელმწიფო დეპარტამენტში 2003 წ.მივიდა, ხოლო იმ წლებში, როცა კომიტეტის თავმჯდომარე ბაიდენი იყო, მუშაობდა სენატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტში. თეთრ სახლში 2010 წ. მივიდა, როგორც პრეზიდენტ ობამას თანაშემწის მოადგილე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხში, შემდეგ იყო ცენტრალური სადაზვერვი სამმართველოს უფროსის მოადგილე, მოგვიანებით კი, სახელმწიფოს უსაფრთხოების მიმართულებით მრჩევლის მოადგილე.

ხეინსი იყო ერთ-ერთი ხელისმომწერი შარშან გავრცელებულ წერილზე, რომელიც აშშ დემოკრატიული პარტიის ეროვნულ კომიტეტს მოუწოდებდა, ისრაელის მიმართ გაემკაცრებინათ ფორმულირება დასახლებების საკითხთან დაკავშირებით. ისევე როგორც იელენი, ხეინსიც პირველი ქალია, რომელიც ასაეთ მაღალ პოსტს იკავებს.

ვენდი შერმანი: სახელმწიფო მდივნის მოადგილე — 71 წლის ვენდი შერმანიც პირველი ქალია, რომელიც ამ პოსტზე დაინიშნა. ობამას ადმინისტრაციაში იგი გახლდათ მთავარი მომლაპარაკებელი ირანთან „ბირთვული შეთანხმების" საკითხზე და ალბათ, ამჟამადაც — ბაიდენის ადმინისტრაციაშიც წამყვან როლს ითამაშებს ამ საკითხის გადაწყვეტაში.

რაიჩელ ლევინი: ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე — 64 წლის ქალბატონი ლევინი პირველი ცნობილი ტრანსგენდერია, რომელიც სენატს ამ პოსტზე დასამტკიცებლად წარედგინა. დღემდა იგი პენსილვანიის ჯანდაცვის სისტემას ხელმძღვანელობდა.

ენნი ნოიბერგერი: ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის მოადგილე კიბერუსაფრთხოების მიმართულებით — ბრუკლინის ულტრაორთოდოქსალურ რაიონში — ბორო-პარკში დაბადებული და გაზრდილი 45 წლის ნოიბერგერი გახლავთ პასუხისმგებელი ფედერალური მთავრობის კიბერუსაფრთხოებაზე, ეს კი ბაიდენის სამთავრობო წრეების ერთობ პრიორიტეტული საკითხია. ნოიბერგერი ეროვნული უშიშროების სააგენტოს 2009 წელს შეუერთდა და ბოლო ორი წლის განმავლობაში კიბერუსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი გახლდათ. მისი მშობლები — ჯორჯი და რენე კარკანფელებიიმ თვითმფრინავის მგზავრთა შორის იყვნენ, რომელიც 1976 წ. ტერორისტებმა გაიტაცეს და უგანდაში, ენტებეს აეროპორტში ისრაელის სპეცდანიშნულების რაზმმა გაანთავისუფლა. ქ-ნმა ნოიბერგერმა 2018 წელს ერთ — ერთ ინტერვიუში განაცხადა, ძალიან მახარებს ის, რომ ებრაული თემის გოგონებს სამაგალითოდ და მიბაძვის ღირსად მივაჩნიათო.

დევიდ ქოენი: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოადგილე — 58 წლის ქოენი ბოსტონში გაიზარდა და იელის უნივერსიტეტი დაამთავრა. ადრე ფინანსთა სამინისტროში ტერორიზმის ფინანსირების საკითხებზე მუშაობდა, იყო ფინანსთა მინისტრის მოადგილე სწორედ ტერორიზმისა და ფინანსირების მიმართულებით. შემდეგ სადაზვერვო სამსახურში გადავიდა და იქ წარმატებული კარიერით გამოირჩევა.

და ბოლოს:

დუგლას ემხოფი: ვიცე-პრეზიდენტის მეუღლე — 20 იანვარს 56 წლის ემხოფი ისტორიაში შევიდა, როგორც აშშ ვიცე-პრეზიდენტის მეუღლე. ემხოფი ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში სამართალს ასწავლის და როგორც ჩანს, აშშ ადმინისტრაციაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყრდნობით:
ალექსანდრე აპელგაუმი

მალხაზ ნანიკაშვილი:

„საქართველოს ყოველი წარმატება უდიდესი სიხარულია ჩემთვის, სულ მცირედი წარუმატებლობა კი – დიდი ტკივილი!“

ბარ-ილანის უნივერსიტეტის (Bar-Ilan University, რამათგანი, ისრაელი) ნანოტექნოლოგიების ინსტიტუტში მუშაობს ერთი თბილისელი კაცი, ფილხაზ (მალხაზ) ნანიკაშვილი, რომელიც ისრაელში საცხოვრებლად 10 წლის წინათ წავიდა. ამბობს, რომ გაუმართლა, რადგან ისრაელში 55 წლის ასაკში ჩავიდა და მალევე დაიწყო მუშაობა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში თავისი სპეციალობით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ცნობილი მიზეზების გამო, იძულებული გახდა, თავი დაენებებინა სამეცნიერო საქმიანობისთვის და სხვა სფეროში დაეწყო მუშაობა.

ახლა იგი ცდილობს, ბარ-ილანის უნივერსიტეტსა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო წრეებს შორის კონტაქტებ იდაამყაროს ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება. მისი მცდელობა ამ ეტაპზე პანდემიამ შეაფერხა, თუმცა იმედია, როდესაც ეპიდემიოლოგიური სიტუაცია გამოსწორდება, ეს ურთიერთობები გაგრძელდება და თანამშრომლობა წარმატებული იქნება.

მალხაზ ნანიკაშვილი 1980 წელს გავიცანი „მცირეა კადემიაში“, ლეჩხუმში, ცაგერის სოფელ ლაჯანაში – მე მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და ზაფხულში სპეციალურ ბანაკში გამგზავნეს ჩემი რაიონიდან. „მცირე აკადემიაში“ ყოველ წელს იკრიბებოდნენ მაღალი კლასების წარჩინებული მოსწავლეები მთელი საქართველოდან. ლექცია-სემინარებს ახალგაზრდა მეცნიერები გვიკითხავდნენ არჩეული სპეციალობების მიხედვით (მე ლიტერატურის ჯგუფში ვიყავი). მალხაზი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სპეციალისტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ქიმიკოსების ჯგუფს ხელმძღვანელობდა. წარმოსადეგი, სიმპათიური, მუდამ კეთილგანწყობილი ახალგაზრდა მეცნიერი საყოველთაო სიმპათიით სარგებლობდა.

დაუვიწყარი ერთი თვე გავატარეთ ბანაკში – ლექციების გარდა ათასგვარ ღონისძიებებს ვაწყობდით, იუმორის საღამოების ჩათვლით. არაერთი მეგობარი შევიძინე მაშინ „მცირე აკადემიაში“, რომლებსაც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შემდეგაც ვხვდებოდი.რამდენიმე წელში ყველაფერი შეიცვალა, დაიწყო „ბნელი“ 90-იანები და ბევრი მაშინდელი ნაცნობის კვალი დამეკარგა.ამ ცოტა ხნის წინათ კი სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ მალხაზი ისრაელის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში მუშაობს.

მესენჯერით ვისაუბრეთ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს „მცირე აკადემიაში“ დავბრუნდი.

— მალხაზ, ბევრი ქართველი ებრაელი წავიდა ისრაელში 70-იან-წლებში, როცა საბჭოთა კავშირმა მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა. ბევრი წავიდა 90-იანი წლების დასაწყისში. შენ მაშინ საქართველოში დარჩი, ეს გასაგებია, მაგრამ რატომ წახვედი 2010-ში?

— 2010 წელს კარგი მიზეზით არ წამოვსულვარ ისრაელში – დედა გარდამეცვალა და მამა რჩებოდა მარტო. მამა არდავტოვე მარტო 82 წლისასაკში.

დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვაფასებ, ვფიქრობ, ადრე რომ წამოვსულიყავი, ალბათ უფრო მეტს მივაღწევდი ჩემს პროფესიაში. ძალიან არ მიყვარს ეს „ალბათ“, მაგრამ ჩემი სპეციალობის დატოვება ნამდვილად არ მომიწევდა უპერსპექტივობის გამო.



უაღრესად მადლიერი ვარ ჩემი ყველა მასწავლებლის, თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგების და შემდეგ ჩემი ხელმძღვანელის (აკადემიკოსი ევგენი შჩუკინი) მოსკოვში, სადაც დისერტაცია დავიცავი. იმდენად თავისუფლად და ლაღად ვგრძნობ ახლა თავს ჩემს სპეციალობაში, თუ არა ის განათლება, რომელიც თბილისსა და მოსკოვში მივიღე, ეს გამიჭირდებოდა.

უფრო ადრე კი იმიტომ არ წამოვედი, რომ საქართველოში წარმატებული ვიყავი, ლაბორატორიის გამგის მოადგილე, თითქოს კარგად მიდიოდა ყველაფერი.

ამ დროს ინგრევა ქვეყანა, მრჩება ორი შვილი და მილიონერი ვხდები – კუპონებში.

მერე ქიმიას „შევეშვი“ და სხვადასხვა სფეროში დავიწყე მუშაობა, რადგან ქიმიკოსობით იმ პერიოდში ოჯახს ვერ შევინახავდი. ვმუშაობდი საქველმოქმედო ორგანიზაციაშიც (ჟჟჩ – „ჯოინთი“ –ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტი), შემდეგ ვიყავი ამ-იერკავკასიაში პირველი ებრაული საქველმოქმედო ცენტრის – „ხესედ ელიაჰუს“ პირველი დირექტორი, აზიის რეგიონის საზოგადოებრივი და სოციალური ინსტიტუტის დირექტორი.

მე ფიზიკური ქიმიის სპეციალისტი ვარ, ჩემმა მეგობრებმა, ორგანული ქიმიის სპეციალისტებმა, რომლებიც ისეთ ნატიფ სინთეზებს აკეთებდნენ, რომ 15-20 სტადია მიდიოდა რეაქციები, უცებ ვალერიანის წვეთების გამოშვება დაიწყეს, კოოპერატივები გახსნეს– თავი ხომ უნდა გადაერჩინათ! ასე მოხდა სპეციალისტების დეკვალიფიკაცია.

რომ ჩამოვედი ისრაელში, დავიწყე მუშაობა და ჩემი თვალითვნახე, რამდენად წინაა წასული აქ მეცნიერება, ერთადერთი, რის სურვილიც დღიდან ჩამოსვლისა, მქონდა და მაქვს: ჩემს მეგობრებს, კოლეგებს, რომლებიც საქართველოში არიან, სულ ცოტა, ნორმალურ ხელსაწყოსთან მუშაობის საშუალება ჰქონდეთ. მართლა ძალიან მინდა ეს

რა თქმა უნდა, ჭკუას არავის ვასწავლი, მაგრამ 90-იან წლებიდან საქართველომ თავისი განვითარების კონცეფცია და პროგრამა ვერ დადო – რა უნდა. ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება, ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება – ესაა პროგრესი, ესაა საქართველოს მომავალი

— მართლაც, რთული წლები გამოვიარეთ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებები „არაპრიორიტეტულად“ იქცა, ამან საქართველო ძალიან დააზარალა.

— მახსოვს, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში ვმუშაობდი – მეტრო „დელისიდან“ ჯიქიას ქუჩაზე უნდა ავსულიყავი, ტროლეიბუსი არ იყო, ავტობუსი არ იყო, ყოველთვის ხომ ვერ ნახვიდოდი ტაქსით?! ფეხით ერთი საათი გინდოდა. ახვიდოდი და ისიც არ იცოდი, შუქი ან წყალი იქნებოდა თუარა.ამ სიტუაციაში ყველაზე მეტად მოუმზადებელი და ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ინტელიგენცია.

— როგორც ვიცი, ლექციებსაც კითხულობდი უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე.

— 80-იანი წლების ბოლოს 50-კაციანი ჯგუფიდან ჩემს ლექციებს 15-20 კაცი ესწრებოდა, სემინარებზე 17-20-კაციანი ჯგუფიდან 7-8 სტუდენტი მოდიოდა და ესეც დიდი მიღწევა იყო იმ დროისთვის, რადგან დასწრების აღრიცხვას ჟურნალში არ ვაწარმოებდი. იმის მაგივრად, რომ ესწავლათ, ახალგაზრდები მიტინგებზე დადიოდნენ.

ერთხელ ერთი სტუდენტი გოგონა მოვიდა და მითხრა (სხვები ამასაც არ თვლიდნენ საჭიროდ, ისე აცდენდნენ): ბატონო მალხაზ, დღეს ვერ მოვალ სემინარზე, მიტინგზე მივდივარო, 89 თუ 90 წელიიყოვუთხარი, საქართველო დამოუკიდებელი მაინც გახდება და მაშინ უფრო დასჭირდება სპეციალისტები, მცოდნე ადამიანები. თქვენ ჯობია, ისწავლოთ-მეთქი.

არასწორი პრიორიტეტები იყო: „გეპეიში“ იურიდიულს და ჟურნალისტიკას რომ გახსნი (ამ სპეციალობების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რა თქმა უნდა) და საინჟინროს დაკეტავ, როცა ქართველი ინჟინრები, განსაკუთრებით სამთო ინჟინრები, ხიდების ინჟინრები, მთელ საბჭოთა კავშირში მოთხოვნადები იყვნენ, რაზე უნდა ილაპარაკო საერთოდ?!..

— საქართველოში თუ ჩამოდიხარ ხოლმე?

— კი, რამდენჯერმე ჩამოვედი, ბოლოს გასული წლის ნოემბერში ვიყავი ჩამოსული: ჩემი ინიციატივით და ბატო ნთამაზ მარსაგიშვილის (განათლების მინისტრის მოადგილე იყო მაშინ) დიდი დახმარებით, მოვახერხე და ბარ-ილანის უნივერსიტეტის დელეგაცია ჩამოვიყვანე თბილისში – ბარ-ილანის ახალი ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი და 3 ლაბორატორიის გამგე. ძალიან დატვირთული გრაფიკი გვქონდა, მნიშვნელოვანი შეხვედრები გავმართეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, აგრარულ უნივერსიტეტში, ილიას უნივერსიტეტში, „ბაქტერიოფაგში“ ძალიან კარგი შთაბეჭდილებით წამოვედით ბენდუქიძის [აგრარული] უნივერსიტეტიდან, ძალიან ადეკვატური დონეა, აგრეთვე, ილიას უნივერსიტეტიდან, ძალიან მოეწონათ და პერსპექტიულად მიიჩნიეს „ბაქტერიოფაგთან“ თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემინარ იჩატარდა აკადემიკოს ბეჟან ჭანკვეტაძის ხელშეწყობით. ბარ-ილანმა გააფორმა ხელშეკრულება რუსთაველის ფონდთან და ახლა უნდა გამოცხადებულიყო კონკურსები ერთობლივი კვლევების შესახებ ორივე მხარის დაფინანსებით (სპეციალური ფონდი უნდა შეიქმნას), სხვადასხვა მიმართულებებით: ნანოტექნოლოგიების, ბიოლოგიის, ფიზიკის მიმართულებით – ძალიან მიხარია, რომ ეს ურთიერთობა დაიწყო.

— ბარ-ილანის უნივერსიტეტში სხვა ქართველი ებრაელი მეცნიერი თუ მუშაობს? ან სტუდენტები თუ სწავლობენ? საერთოდ, ისრაელში სასწავლებლად ქართველები, თუ არ ვცდები, ნაკლებად მიდიან, ალბათ, სწავლის მაღალი გადასახადის და ცხოვრების სიძვირის გამო.

— საქართველოს მოქალაქე სტუდენტი ან დოქტორანტი მე აქ ჯერ არ შემხვედრია, მაგრამ საქართველოდან ჩამოსული ებრაელები – მათემატიკოსები, ეკონომისტები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები კი საკმაოდ არიან. ბარ-ილანი სავსეა სტუდენტებით ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ყაზახეთიდან, ბელარუსიდან თუ საქართველოს სურვილი აქვს, მაღალი დონის სპეციალისტები ჰყავდეს,

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

ა ჰ ა რ ო ნ მ დ ი ნ ა რ ა ძ ე

ფარაშა „მიშპატიმ“ (წესები) – ითვლება თორის ყველაზე მნიშვნელოვან თავად, შეიძლება ჩვენ გვეფიქრა, რომ წინა კვირის თავია ასეთი – „ითრო“, რადგან იქ მოთხრობილია ჰაშემის გამოვლინებაზე სინაის მთაზე, სადაც მან გაგვიხსნა, რომ ის არის ამ სამყაროს ერთადერთი მფლობელი და ბატონი, სადაც მივიღეთ მისი მიცვები.

მიუხედავად ამისა, „მიშპატიმი“ ითვლება უფრო მნიშვნელოვნად, რადგან ზუსტად ებრაელის დამოკიდებულება თორის კონკრეტულ წესებთან და დადგენილებებთან გამოხატავს იმას თუ რას წარმოადგენს ის სინამდვილეში.

წერია თორაში „სავსეა სამყარო მისი დიდებით“, ხსნიან ჩვენი კომენტატორები არ არის სიტუაცია ცხოვრებაში, რაზედაც არ ლაპარაკობს თორა და არ არის დადგენილი მისი კონკრეტული წესები,ყოველი ასეთი წესი არის ჰაშემის სურვილის ნაწილი და როდესაც ვასრულებთ ამ დადგენილებას, ჩვენ ვერთიანდებით მასთან. ყოველ ასეთ წვრილმანს ჩვენ მივყავართ საბოლოო მიზნამდე – ჩვენი და მთლიანად სამყაროს შეცვლამდე უკეთესობისკენ.

ებრაული წესების კრებულს ქვია „შულხან არუხი“ (გაშლილი მაგიდა) – მისი სახელის წარმოშობაც დაკავშირებულია ჩვენი კვირის თავთან – „მიშპატიმთან“ – სადაც წერია – „ და აი წესები, რომლებსაც შენ მათ შესთავაზებ“ – და უნდა იყოს ის როგორც გაშლილი მაგიდა, სადაც ყველაფერო მზადაა მისართმევად, ანუ ყველაფერი რისი ახსნაც შესაძლებელია უნდა იყოს ახსნილი და განხილული.

თორაში პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ვერანაირი ციხე ვერ შეცვლის ზარალიც ანაზღაურებას,ვერც ფიზიკურს და ვერც სულიერს, რომელიც მიაყენა დამნაშავემ დაზარალებულს. მიუხედავად ამისა თორა ძალიან ბევრი დანაშაულისთვის ითვალისწინებს დასჯას სიკვდილით, მაგრამ ვინც კარგად შეისწავლის წესებს მიხვდება რომ თორის წესებით ადამიანის სიკვდილით დასჯა თითქმის შეუძლებელია, ებრაული სასამართლოს დანიშნულებაა მოძებნოს არგუმენტები რომ გაამართლოს ადამიანი და წერია თალმუდში,რომ სასამართლომ რომელმაც ეს ვერ შეძლო და თუნდაც შვიდ წელიწადში ერთხელ (მეორე აზრით – სამოცდაათ წელიწადში ერთხელ) დასაჯა ადამიანი სიკვდილით, ასეთ სასამართლოს ქვია – სისხლიანი სასამართლო.

განვიხილოთ რადენიმე წესი:

წერია თორაში: ვინც დაარტყავს თავის მამას ან დედას, უნდა დაისაჯოს სიკვდილით, ხოლო თუ ვინმე დაწყევლის თავის მშობლებს ის უნდა იყოს ჩაქოლილი ქვებით. რატომ უნდა დავსაჯოთ ის ვინც იწყევლება მძიმე სიკვდილით (ჩაქოლვა ითველება სიკვდილის მძიმე სახედ), გვასწავლის თორა რომ დაწყევლა შეიძლება ადამიანს ადვილად წამოცდეს და რადგან ხშირად ამ დროს იყენებენ ჰაშემის სახელსაც, თორას უნდა რომ ჩვენ განსაკუთრებით გავფრთხილდეთ და დავიზღვიოთ თავი ასეთი დანაშაულისგან.

ასევე წერია არ შეავიწროვოთ(დაამციროთ) – „არც ქვრივი,არც ობოლი“ – გვეუბნება ჰაშემი – თუ მათ მიაყენებენ შეურაცხყოფას, მათ ვერავინ დაიცავს და ისინი მომმართავენ მე, და მე მოვისმენ მათ ტირილს, და დაგსჯით თქვენ, და თქვენი ცოლები გახდებიან ქვრივები და შვილები – ობლები.

არ გაჰყვე უმრავლესობას სიბოროტეში – თუ უმრავლესობა არ იქცევა თორის წესით, შენ არ გაქვს უფლება მათ გაჰყვე და თქვა ყველა ასე აკეთებს და მე რა ვქნა, გვიწერია თორაში სადაც არ არიან ხალხი – იყავი ადამიანად, დღეს მარტო იქნები, ხვალ სხვა შემოგიერთდება, ზეგ კიდევ რამდენიმე და ასე გაძლიერდებით და მიაღწევთ სიმართლეს.

ასევე წერია თორაში – აკრძალული საჭმლის და აკრძალული ლაპარაკის წესები ერთმანეთის გვერდით, გვიხსნიან ჩვენი ბრძენები, რომ ეს ორი თემა ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია და ის ვინც არ უფრთხილდება ქაშერი საჭმლის წესებს, ის არ უფრთხილდება აგრეთვე აკრძალულ ლაპარაკს.

რამბამი თავის ნაშრომებში წერს უმეტესობა ავადმყოფობები მოდის აკრძალული და ზედმეტი საჭმელისგან და თუ ეს მართალია მატერიალურ საკითხებში მით უმეტეს სულიერში, რადგან ადამიანის ბაგეები არის მისი აზრების და სურვილების სარკე.

ისწავლეთ თორა, დაიცავით ის და მაშინ ის თვენ დაგიცავთ,იყავით ჯანმრთელები და ბედნიერები.

შედეგ შაბათს წავიკითხავთ ფარაშა „ზახორს“ და ორ კვირაში იქნება ფურიმის დღესასწაული. უმეეტსობა რაბების აზრით ყველა მამაკაცი 13 წლიდან ვალდებულია მოისმინოს ფარაშა „ზახორი“ ქაშერი სეფერ თორიდან, გთავაზობთ ფარაშა „ზახორის“ და ფურიმის სეგულებს

ფარაშათ „ზახორი“-ს მოსმენის შემდეგ შეგვიძლია ვთხოვოთ ჰაშემს რომ ჩაისახოს და შეგვეძინოს ჯანმრთელი შვილები.

- ვინც ისმენს ფარაშათ „ზახორს“ მეხსირეობა უძლიერდება.
- „მეგილათ ესთერ“-ის კითხვის დაწყებამდე, სანამ ხაზანი აკურთხებს ბერახებს, უნდა ვთხოვოთ ჰაშემს, რომ გავხდეთ კარგი ჭურჭელი მისი შუქის მისაღებად.
- „მეგილათ ესთერ“-ის კითხვის დროს უნდა დავაფიქსიროთ, რომ ყველა პრობლემები რაც გვაქვს ამ ცხოვრებაში მოგვცილდეს, ამანის ჩამოხრჩობა კი უნდა განვიხლოთ, როგორც ყველა ჩვენი პრობლემის, უსიამოვნების, წუხილის, უბედურების, თავიდან აცილება და ჩამოხრჩობა.
- „მეგილათ ესთერ“-ის დამთავრებისას შეგვიძლია ვთხოვოთ ჰაშემს - შიდუხი (ნახევრის პოვნა), შალომ ბაითი (მშვიდობა ოჯახში), ფარნასა (ფინანსები).
- საღამოს „მეგილათ ესთერ“-ის კითვის შემდეგ უნდა გავშალოთ საზეიმო სეყუდა და ავანთოთ 2 სანთელი ლე ყილუი ნიშმათ მორდეხაი ჰა იეჰუდი და ესთერ ა მალქა ბათ ავიხაილ - და მათი წმინდა შუქი შემოვა ჩვენს სახლებში.
- შუაღამე არის განსაკუთრებული დრო ლოცვისთვის, შამაიმის შვიდივე კარები ღიაა და იღებენ ჩვენ ლოცვებს, კარგია წავიკითხოთ 22 თეჰილიმი 7-ჯერ, ასევე ვთხოვოთ ჰაშემს რომ გააუქმოს ცუდი განაჩენი.
- ფურიმის დღის სეყუდა- კარგია მაგიდაზე იყოს ბერი გემრიელი კერძი, ღვინო, ხორცეული, ასევე სხვადასხვა სახის თხილი და მსეზუმზირა, და რა თქმა უნდა ამანის ყურები.

შაბათ შალომ

მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პოსტდოქტორანტურა ბარ-ილანში ძალიან მაღალ დონეზეა. რაც შეეხება სწავლის გადასახადს, დაფინანსების უამრავი წყარო არსებობს, ისრაელსაც აქვს ფონდები, ზოგჯერ თვითონ პროფესორს აქვს თავისი ფონდი და შეუძლია მიიღოს სტუდენტი (დოქტორანტი). როგორც ჩემს დროს 2 საათი უნდოდა თბილისიდან მოსკოვში ჩაფრენას, ისე 2 საათის გზაა თბილისიდან თელ-ავივამდე. ისეთი გარემო, როგორიც აქ ხვდება, არცერთ ქვეყანაში არ დახვდება საქართველოდან ჩამოსულ არც სტუდენტს დ აარც დოქტორანტს.

— რას გულისხმობ?

— თბილი, კეთილი დამოკიდებულება ისრაელში ყველა გეუბნება, რომ საქართველოსთან კეთილმეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ამას იგრძნობ ყველა ნაბიჯზე.

უნდა იყოს თანამშრომლობა საბუნებისმეტყველო დატექნიკის დარგში, თუ უნდა საქართველოს განვითარება.

— ახლახან გაიხსნა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომლის მთავარი მიმართულება ტექნოლოგიებია.

— 10-12 წლის წინ ისრაელის მთავრობამ გამოყო თანხა ახალი ტექნოლოგიების ინსტიტუტების დასაფინანსებლად. ააშენეს 5 ინსტიტუტი სხვადასხვა უნივერსიტეტში (მათ შორის, ბარ-ილანის უნივერსიტეტის ახალი ტექნოლოგიების ინსტიტუტიც).ტრიპლექსის ტიპის შენობაა აშენებული და იცით, რატომ, რაიდეაა ჩადებული? ერთ სართულზე არის სამი ფრთა: ერთ ფრთაზე არიან ფიზიკოსები, მეორეზე – ქიმიკოსები, მესამეზე – ბიოლოგები. წყალი, სამზარეულო, სველი წერტილები – სამივე ფრთისთვის საერთოა და ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს და ბიოლოგებს ამის გამო ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს, საუბარში კი ბევრი იდეა იბადება, ერთმანეთთან კავშირი ძალიან ინტენსიურია და ბევრი ერთობლივი შრომაა გაკეთებული. როდესაც ბარ-ილანში მეცნიერები ჩამოდიან და პრეზენტაციას აკეთებენ, იმაზეა აქცენტი, პირველ რიგში, უნივერსიტეტის შიგნით რამდენ ადამიანთან აქვთ ურთიერთობა ფიზიკოსს, ქიმიკოსს, ბიოლოგს, თუ ინჟინერს – სხვადასხვა ფაკულტეტი როგორ თანამშრომლობს ერთმანეთთან.

ბარ-ილანის უნივერსიტეტის ნანოტექნოლოგიების ინსტიტუტის შენობა.

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე თევზაძეს მივწერე წერილი: თუ ქუთაის სუნდა, რომ ისრაელის გამოცდილება, ფილოსოფია გაიზიაროს, ბარ-ილანი მზადაა თანამშრომლობისთვის. ყველაფერი დამოკიდებულია საქართველოს მხარეზე.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მიხარია, რომ შენს მეორე სამშობლო საქართველოზე ასე ზრუნავ და, როგორც ვხედავ, საქართველო შენთვის ისევ ყოველდღიური თემაა – სულ ქართულ ამბებს იხსენებ, სულ ქართველ მეგობრებზე საუბრობ რაზე გწყდება გული და რას ისურვებდი ახლა ყველაზე მეტად?

— ახლა ძალიან მინდა საქართველოში ჩამოსვლა. ებრაელ ხალხს მეხსიერების ხალხს ეძახიან და ჩემს მეხსიერებაში ჩემი საძმაკაცო და სამეგობრო წარუშლელია. მარტში გარდამეცვალა ერთ-ერთი უახლოესი, უსაყვარლესი მეგობარი რამაზკობალაძე – ვერც სანახავად ჩამოვედი, სანამ საავადმყოფოში იწვა და ვერც დასაფლავებაზე მთელი თბილისი, მთელი საქართველო იცნობდა და პატივს სცემდა, ისეთი კაცი იყო, მგონი, 200 მარტო ნათლული ჰყავდა.

— რომელ ქალაქში ცხოვრობ? შენი ოჯახის წევრები, შვილები სად არიან?

— ვცხოვრობთ ისრაელის ერთ-ერთ ლამაზ და მეტად პერსპექტიულ ქალაქში – რიშონ-ლე-ციონში, რომლის დაარსება უკავშირდება როტშილდების სახელს – პირველი ქალაქი ციონში. ჩემი ქალიშვილი ირინა 2001 წელს წამოვიდა ისრაელში – მეორე კურსის სტუდენტი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, დაანება თავის სწავლას, რადგან ისრაელში გათხოვდა. აქ სტომატოლოგიურზე გააგრძელა სწავლა და ახლა მუშაობს. კარგი ოჯახი აქვს, ღირსეული მეუღლე ჰყავს, 3 შვილს ზრდიან, ჩემი უფროსი შვილიშვილი – გოგონა 18 წლის გახდება მალე და ჯარში წავა 2 წლით. ვაჟი, ირაკლი 31 წლისაა, თბილისში დაამთავრა ბიზნესის ადმინისტრირება და მართვა, (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი) და ისრაელში 2012 წელს წამოვიდა, ჩემს მეუღლესთან (ლალი დავითაშვილი) ერთად. მანამდე მე მამასთან ვცხოვრობდი. სამწუხაროდ, მამაჩემი 2013 წელს გარდაიცვალა. ახლა ირაკლი ისრაელის ერთ-ერთ ძალიან ცნობილ კომპანიაში მუშაობს, ჯერ ცოლი არ ჰყავს.

— წარმატებებს ვუსურვებ შენს შვილებს. დარწმუნებული ვარ, მეორე სამშობლო – საქართველო არასდროს დაავიწყდებათ და იქნებ, მათაც შეიტანონ თავიანთი წვლილი საქართველო-ისრაელის მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობების განმტკიცებაში.

ინტერვიუს ბოლოს რას ეტყოდი საქართველოს და ქართველებს?

მინდა, რომ აყვავებული და წარმატებული იყოს!!! მერწმუნეთ, საქართველოს ყოველი პატარა წარმატება უდიდესი სიხარულის და სიამაყის მომტანია ჩვენთვის და სულ მცირედი წარუმატებლობა – დიდი ტკივილია!

გიყვარდეთ საქართველო!!!

ესაუბრა
ნ ი ნ ო ლ ურ ს მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

„მე 19–20 საუკუნეების ებრაელი მეცნიერები საქართველოდან“

(დასაწყისი იხ. „მ“ №11,12,13)

ეთერ თოფჩიაშვილი-გიგინეიშვილი - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1972 წ). .მიღო ფილოსოფიის დოქტორის (ქიმიაში) სამეცნიერო ხარისხი ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (1990 წ). დისერტაცია დაიცვა თემაზე „მყარი ნარევი სარაკეტო საწვავების წვის ახალი ეფექტური კატალიზატორების და პლასტიფიკატორების სინთეზი და კვლევა“. პარალელურად სწავლობდა ისტორიის ფაკულტეტის მხარეთმცოდნეობის განყოფილებაზე; ისრაელის ღია უნივერსიტეტში (იუდაიზმის ისტორია, ფილოსოფია, ტრადიციები, ლიტერატურა) - 2004 წ. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქიმიასა და ბიბლიის საკითხებზე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებსა და გაზეთებში. არის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების ავტორიქიმიაში, კე რძოდ: „ელემენტორგანული ქიმია“ – 2008 წ, „ელემენტორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი“ -2005 წ. (ქიმიის დეპარტამენტის მე-4 კურსის სტუდენტებისათვის). არის თანახის შემსწავლელ ებრაელ ქალთა საზოგადოების „ეც ხაიმ“ („სიცოცხლის ხე“) დამაარსებელი, ხელმძღვანელი და ლექტორი, „ებრაული სამყაროს“ რედაქტორი, - საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

მალხაზ (ფილხაზ) ნანიკაშვილი - ბარ-ილანის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის და ნანო-ტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. თსუ ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სპეციალობით ფიზიკური ქიმია. სადოქტორო ნაშრომი კოლოიდურ ქიმიაში (1987) შეასრულა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის (მოსკოვი) ბაზაზე. ძირითადი სამუშაო ადგილი - საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელის სტატუსით. პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორი; 1990-93 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის ფაკულტეტი; დეპარტამენტის ფიზიკური ქიმიური მრეწველობა; ასოცირებული პროფესორი; სულხან-საბას სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ქიმიის დეპარტამენტი. აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ პროგრამებში: მონიტორინგის თჩ (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის (სამხრეთ კავკასიის გაზსადენი) მშენებლობა- პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი, ექსპერტი; 2006-7 მოკლევადიანი საკონსულტაციო მომსახურება ტექნიკური და გარემოს დაცვის საკითხებში; 2008-10 წ.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (დედამიწის მეგობრები - საქართველო) კოორდინატორი ენერგეტიკის პროგრამებში, ექსპერტი; 2008 – 2010 წწ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ.

დავით ფანიკიშვილი (ფანიკ) - ფარმაციის სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ქიმიური ფარმაცევტული აკადემიის კურსდამთავრებული (1997). სადოქტორო დისერტაციას იცავს ფარმაკოლოგიაში იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში თემაზე: „ენდო-კანაბინოიდები“(2005). პოსტდოქტორატული კვლევა განაგრძო ვაიცმანის სახ. ინსტიტუტში, მცენარეთა მეცნიერებათა დეპარტამენტში. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდა მაღალი ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალებში. ნაშრომებმა შუქი მოჰფინა თავის ტვინის ტრავმული დაზიანების მექანიზმების შესწავლას, გაუმჯობესების ეფექტს ენდო-კანაბინოიდების მოქმედების შედეგად. 2016 წელს ჩამოაყალიბა ბიოტექნოლოგიური კომპანია. თანამშრომლობს მყარ, დაფუძნებულ, ძლიერ ორგანიზაციებთან, ეხმარება კავშირების დამყარებაში მილსადენის მშენებლობისათვის აღჭურვილობის შეძენაში და დამონტაჟებაში.

რობერტ მანაშეროვი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სტენფორდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე მოღვაწეობს (კალიფორნი, აშშ). ბენ გურიონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალობით უჯრედის ბიოლოგიის და კულტურათა განხრით. 2005-2007 წწ. პოსტდოქტორანტის პოზიცია გენეტიკის განყოფილებაში, შემდეგ განაგრძობს კვლევებს ინფექციური დაავადების კათედრაზე. 2014 წლიდან სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომელია. აქვს მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია .

ლელა წიწუაშვილი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგამოფენო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 1991 წელს დაასრულა სანქტ-პეტერბურგის ხელოვნების აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, სპეციალობით - ხელოვნების ისტორიკოსი. 2012 წელს მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო ნაშრომი: „მე-19-20-ე საუკუნეების იუდაიკა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაში (ქართველ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციის საფუძველზე)“. 1995 წლიდან იკვლევს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციებს, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში, გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი იუდაიკაში, დამუშავებულია არაერთი კატალოგი, სისტემატიზირებულია ექსპონატები. 2006 წლიდან დღემდე წარმოდგენილი აქვს 400-მდე გამოფენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოპოვებულ გრანტთა სიმრავლე: გრანტი ღოტჰსცჰილდ ოუნდატიონ (ანადივ) ევროპის მუზეუმები პროგრამა: პროექტი "ებრაული კულტურული მემკვიდრეობის კოლექციები საქართველოს ეროვნულ და განახლებულ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის მუზეუმში, თბილისში". 2016-17წ.წ. - როტშილდის ფონდის საგრანტო პროექტი: „საქართველოში ებრაული კოლექციების ვებგვერდის და ონლინე მუზეუმის შექმნა“. 2018 წელს ებრაულიკულტურული მემკვიდრეობის ვებსაიტი შექმნა www. jewishcollections.museum.ge. 2019-20 წწ. მოსკოვის ებრაელთა მუზეუმისა და ტოლერანტობის მუსცენტრის მიმდინარე გრანტი „საქართველოს ებრაელები საბჭოთა კავშირის განადგურების ზღვარზე“ და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახვითი ხელოვნების მუზეუმების ევროპული ნახატების კოლექციების ინტეგრალური კვლევა“. ამ შრომატევადი პროცედურათა შედეგი მოახმარა ებრაული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა შესწავლას და წარმოჩენას მსოფლიოს ყველა კუთხეში საერთაშორისო კონფერენციებზე. პროფესიონალური და საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან აღსანიშნავია, რომ 1994 წლიდან დღემდე ლექტორია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებ ლოპროგრამებში, 2012 წლიდან ასოცირებული პროფესორია ქართველოს უნივერსიტეტში. რეგულარულად იწვევენ ტრენინგის პროგრამებში ევროპული ებრაული მუზეუმების ასოციაციაში.

სიმონ ნათლიაშვილი - კუიბიშევის თვითმფრინავმშენებლობის ინსტიტუტის უმაღლესდამთავრებული (1959-64წ.წ.). მოსკოვის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტის, ძრავათა შემოწმების განყოფილებაში იძენს კვალიფიკაციას (1964-68). 1972 წელს სწავლას პატენტთა ინსტიტუტში აგანაგრძობს. 1971-91 წ.წ. ჩართულია სამეცნიერო-საინჟინრო პროექტებში „ჟანგბადის, ნახშირბადის, აზოტის მდგრადი იზოტოპები“. ოთხი საავტორო პატენტის მფლობელია, მათ შორის 1986 წ. „დანადგარი იზოტოპ აზოტი-15 კონცენტრირებისათვის“ შექნისათვის. ჩართული იყო საზოგადოება „დინამიკა“ს კვლევებში. 1996-2007 წწ.მოღვაწეობს ბარ-ილანის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. უდიდესი წვლილი შეიტანა და ოპტიმალურ მოქმედებამდე მიიყვანა თხევადი ჰელიუმის და გაზის შესაგროვებელი დანადგარი, კოლექტორი. 2013 წლიდან ხაიფის ტექნიონის, ფიზიკის კათედრის თანამშრომელია. აღსანიშნავია 2006 წელს შექმნილი ნამუშევარი „დავითის ვარსკვლავი“.

პროფესორი
დოდო ჩიკვაშვილი –
თელ–ავივის უნივერსიტეტი,
სამედიცინო ფაკ-ტი

უმნიშვნელოვანესი სიახლე

თელ-ავივის სურასკის სახელობის სამედიცინო ცენტრიდან:

COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტმა გამოცდის პირველ ფაზაზე შედეგიანობის 95% აჩვენა. 30 საშუალო და მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტიდან 29 ხუთი დღის განმავლობაში ჰოსპიტალიდან გაეწერა.

პრეპარატის სახელწოდებაა EXO-CD24. ის წარმოადგენს CD24 ეზოსომების საფუძველზე შექმნილ ინოვაციურ ნაერთს, რომელსაც პირდაპირ ფილტვებში უშვებენ, რათა აღმოფხვრას COVID-19-ით გამოწვეული ციტოკინური ქარიშხალი.

დღეს არსებული მონაცემებით COVID-19-ს აქვს ორი საკვანძო ეტაპი. პირველ ეტაპზე მის მიმართ მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა გამოიყენება. ხოლო მეორე ეტაპზე, გართულების შემთხვევაში, ვითარდება ე.ნ. ციტოკინური ქარიშხალი. დღემდე, ჯერ ვერც ერთმა პრეპარატმა ვერ შეძლო კორონავირუსის ამ ეტაპის მიმართ სამკურნალო საშუალების ეფექტურობის დადასტურება.

როგორც სურასკის სამედიცინო ცენტრის პროფესორი ნადირ არბერი აღნიშნავს, რომელსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ამ პრეპარატის შექმნაში, ვაქცინა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პანდემიის შესაკავებლად და გასანეიტრალებლად, მაგრამ მისი სრულად გაქრობა ძნელად წარმოსადგენია, ამიტომ სამკურნალო საშუალება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომ ამ ვირუსის საფრთხე საბოლოოდ განეიტრალდეს.

შესაბამისად, პრეპარატის პირველი ფაზის შედეგები ძალზედ დამაიმედებელია და ველით, რომ გარდამტეხ ცვლილებებს შეიტანს COVID-19-თან ბრძოლაში.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003